ლელო

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

17 ივლისი, ოთხშაბათი, 1991 წ.
№ 133 (10 546) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ფოთი 91

ფოთი —
წყალსათხილამურო
სპორტში
ევროპის ჩემპიონატის
მასპინძელი

დარჩა 29 დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათბირი სპორტისა და ტურიზმის სამინისტროში

დრო გადის, წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატი შორს აღარ არის და რაც უფრო ვუახლოვდებით დათქმულ თარიღს, 14 აგვისტოს, მით უფრო იზრდება პასუხისმგებლობა — გარდა იმ მთავარი პრობლემებისა, რომელთა გადასაჭრელად, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დავალებით, უამრავი სამინისტრო და უწყებაა დასაქმებული, მოსაგვარებელია ათასი წვრილმანი.

გუშინ, საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროში, თითქმის ოთხ საათს გაგრძელდა საგანგებო თათბირი, რომელსაც უძღვებოდა მინისტრი კახი ასათიანი.

ახლა მთელს საქმიანობაში ორი სტრატეგიული მიმართულება გამოიკვეთა, პირველი — მშენებლობა და მეორე — ჩემპიონატის სტუმართა მომსახურება.

გუშინდელ სხდომაზე საერთო ინფორმაციით გამოვიდა წყალსათხილამურო სპორტში საქართველოს ფედერაციის პრეზიდენტი რომან მელია.

ჩემპიონატისათვის მზადებასთან დაკავშირებით რ. მელია შეეხო ასპარეზობის გახსნა-დახურვის ცერემონიალის პროგრამას, აკრედიტაციის, ავიამომსახურების, ვაპრობის, ჩემპიონატის აფიშებისა და პროგრამების, აბონემენტების დამზადების, უცხოეთთან სატელევიზიო კავშირის, პრესცენტრის აღჭურვა-მუშაობისა და სხვა საკითხებს. სხდომას ესწრებოდნენ ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები, ამიტომ, როცა სადაო საკითხი წამოიჭრებოდა, იქვე აღწევდნენ შეთანხმებას მოკამათე მხარეებისთვის მისაღებ გადაწყვეტილებაზე, თათბირის ბევრმა მონაწილემ მინისტრის ოპერატიული დავალება, რომელთა მოგვარება კონტროლზეა, უბის წიგნაკში ჩაინიშნა.

სხდომის მონაწილეებმა შეიტყვეს, რომ ინვენტარი, მათ შორის, ტრამპლინიც და კატერიც, საჰაერო და საზღვაო გზებით უკვე შემოდის ფოთში. რაც შეეხება სტუმართა ჩამოსვლას, ისინი 18 აგვისტოს ვენაში მოიყრიან თავს, საიდანაც ჩარტერული რეისით პირდაპირ საქართველოში გამოფრინდებიან. სტუმრებისთვის დაგეგმილია კულტურული პროგრამა — მათ საშუალება მიეცემათ, ეწვიონ ქუთაისს, თბილისს, თელავს... დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს ოლიმპიელებთან ჩვენი სპორტული მიღწევების უცხოელებისთვის გასაცნობად. პროპაგანდის ეს ჩინებული შესაძლებლობა, ცხადია, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

გადაწყდა, ამ დღეებში ფოთში ჩავლენ სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს, ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები და უფრო კონკრეტულად ადგილზე დააზუსტებენ ყველა საკითხს.

თათბირის მუშაობა შეაჯამა კახი ასათიანმა.

* * *

ნებისმიერ სპორტულ შეჯიბრებაზე, მითუმეტეს, თუ იგი მაღალი რანგისაა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მსაჯ-ინფორმატორის ხელოვნებას და ცოდნას. ვისაც სურვილი აქვს იტვირთოს ეს საპატიო მოვალეობა ფოთში, წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატზე, გთხოვთ გამოგვეხმაუროთ. ერთადერთი და უმთავრესი მოთხოვნაა ქართული და ინგლისური ენის კარგად ცოდნა და... სურვილი. დაგეგმილია სემინარი. დაგვირეკეთ: 99-56-14.

საყურადღებოც და საამაყოც...

ეროვნულ სამხედრო კადრებს ჩვენი დარგის სასწავლებლებიც მოამზადებენ

1991-1992 სასწავლო წლიდან სამხედრო კათედრა და უმცროს მეთაურთა სკოლა მუშაობას შეუდგება და თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სამხედრო კადრების მომზადების საქმეში. ამ საკითხზე მიღებულია რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს დაქვემდებარებულ სასწავლებლებში სამხედრო სწავლების შემოღების შესახებ“. დადგენილება ერთობლივად მოამზადეს სპორტისა და ტურიზმის, განათლების სამინისტროებმა.

დადგენილებით გათვალისწინებულია სამხედრო კათედრის აღდგენა ფიზკულტურის ინსტიტუტში, უმცროს მეთაურთა სკოლა კი გაიხსნება თბილისის ოლიმპიური მომზადების სასწავლებელში.

* * *

ფრთხილად, ვიდეომოყვარულებო!

ბოლო წლებში ვიდეოობიექტები სპორტულ ბაზებზეც გახსნეს.

ვიდეობუმი ჩვენში უმართავი გახდა, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული. ამ საქმეში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ კულტურის სამინისტროსთან არსებულ ახალშექმნილ სახელმწიფო კინოკორპორაციას დაავალა: შეიმუშაოს და გაატაროს ღონისძიებები საუწყებო, კოოპერაციული და სხვა სახის ვიდეოსალონების და ვიდეოდარბაზების, ვიდეოთეკებისა და ვიდეოკასეტების გაქირავების პუნქტების საქმიანობაში წესრიგის დასამყარებლად, შექმნას ვიდეოპროდუქციის შემფასებელი საექსპერტო კომისია, რათა გამოირიცხოს რესპუბლიკაში პორნოგრაფიული, ძალადობისა და ამორალური, ანტიეროვნული და ანტიჰუმანური კინო და ვიდეო ფილმების ჩვენება... მხოლოდ კინოკორპორაცია გასცემს უფლებას, ლიცენზიის სახით ყველა ტიპის ეკრანზე საკუთრების ფორმის მიუხედავად. მასვე დაევალა პატენტის გაცემა ვიდეოკასეტების გაქირავების, ვიდეოსალონებისა და კინოვიდეო სადემონსტრაციო დარბაზების გახსნაზე.

დადგენილია, აგრეთვე, საგადასახადო წესები.

სატელეფონო ხაზზეა მონტე-კარლო

ჩვენები მსოფლიო ჩემპიონატზე

15 ივლისს მონტე-კარლოში საზეიმოდ გაიხსნა მსოფლიო ჩემპიონატი ნარდში, რომელშიც საქართველოს მონარდეთა ეროვნული ნაკრებიც მონაწილეობს. გათამაშდება ოთხი პირველობა: პროფესიონალთა (საქართველოდან მონაწილეობენ მიხეილ სურგულაძე, ემზარ ლაითაძე), მოყვარულთა (მერაბ კიკალეიშვილი, ნუგზარ სიკინჭალაშვილი, ბიძინა კიკნაძე), ოსტატთა (დავით ცინცაძე, ნანა ხაზიური); 20 ივლისს კი დაიწყება მსოფლიოს გუნდური პირველობა. ჩვენი ეროვნული ნაკრები გამოვა საქართველოს დროშით.

ალექსანდრე კვიტაიშვილი.

მონტე-კარლო.

სპორტის ოლიმპიური სახეობები ერთ მწკრივში

ამ ახალ თემატიკას ერთი კონკრეტული მიზანი აქვს: მკითხველთა წინაშე წარმოაჩინოს სპორტის ოლიმპიური სახეობები და გააცნოს საქართველოს სპორტსმენთა მიღწევები. ამასთან, აქცენტი გაკეთდება ფოტოინფორმაციაზე და მხოლოდ ტექნიკურ შედეგებზე.

ძიუდო

საქართველოს მოჭიდავეებს ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, მოპოვებული აქვთ 26 ოქროს, 29 ვერცხლისა და 37 ბრინჯაოს მედალი. მათ შორის ოლიმპიადებზე: 2 ოქროს, 2 ვერცხლის და 6 ბრინჯაოს მედალი, მსოფლიო ჩემპიონატში: შესაბამისად 4, 2 და 12, ევროპის ჩემპიონატში კი 20, 25 და 19.

უფრო კონკრეტულად ეს წარმატებები ასე შეიძლება წარმოგიდგინოთ:

ოლიმპიური თამაშები

	ო.	ვ.	ბ.
შოთა ჩოჩიშვილი	1	—	1
შოთა ხაბარელი	1	—	—
რამაზ ხარშილაძე	—	1	—
თემურ ხუბულური	—	1	—
ანზორ კიკნაძე	—	—	1
ფარნაოზ ჩიკვილაძე	—	—	1
გივი ონაშვილი	—	—	1
ამირან ტოტიკაშვილი	—	—	1
გიორგი თენაძე	—	—	1

მსოფლიო ჩემპიონატები

	ო.	ვ.	ბ.
თემურ ხუბულური	2	—	—
ამირან ტოტიკაშვილი	1	—	—
კობა კურტანიძე	1	—	—
ანზორ ქიბროწაშვილი	—	1	—
აკაკი კიბორძალიძე	—	1	—
ანზორ კიკნაძე	—	—	2
თამაზ ნამგალაური	—	—	2
გივი ონაშვილი	—	—	1
ჯიბილო ნიჟარაძე	—	—	1
შენგელი ფიცხელაური	—	—	1
რამაზ ხარშილაძე	—	—	1
შოთა ჩოჩიშვილი	—	—	1
დათო ბოდაველი	—	—	1
შოთა ხაბარელი	—	—	1
გიორგი თენაძე	—	—	1

ევროპის ჩემპიონატები

	ო.	ვ.	ბ.
ანზორ კიკნაძე	4	2	—
ანზორ ქიბროწაშვილი	2	3	1
გივი ონაშვილი	2	3	1
თემურ ხუბულური	2	1	—
კობა კურტანიძე	2	—	1
ამირან ტოტიკაშვილი	2	—	1
თამაზ ნამგალაური	2	—	—
ჯიბილო ნიჟარაძე	1	1	3
ანზორ მარტყოფლიშვილი	1	—	—
როინ მაღალთაძე	1	—	—
დათო ბოდაველი	1	—	—
შენგელი ფიცხელაური	—	3	1
შოთა ჩოჩიშვილი	—	3	1
შოთა ხაბარელი	—	2	2
გურამ გოგოლაური	—	2	1
ფარნაოზ ჩიკვილაძე	—	2	—
ოთარ ნათელაშვილი	—	1	—
აბდულ ბარკალაევი	—	1	—
ოლეგ ზურაბიანი	—	1	—
რამაზ ხარშილაძე	—	—	2
ამირან კიბორძალიძე	—	—	2
ამირან მუზაევი	—	—	1
გიორგი თენაძე	—	—	1
დავით ხაბალეიშვილი	—	—	1

TO THE PARTICIPANTS
INTERNATIONAL TOURNAMENT!

პრომეთე

ედიშერ გიორგაძის რედაქციით

პროფესიული კრივის სამყაროში

ბრიტანული კრივის მამა



შიშველი მუშტით ბრძოლის ხანის მძლეთამძლე მოკრივე ჯეიმს ფიგმა ზედიზედ დაჯაბნა რამდენიმე თანამემამულე და 1719 წელს ის აღიარეს ინგლისის პირველ ჩემპიონად კრივში.

„ნისლთა კუნძულის“ კრივის მატიანის ნისლოვანედში მომდევნო წლებში ილანდება რამდენიმე სხვა ჩემპიონის — ტომ პაიპსის, ჯეკ ჰემერსმიტის თუ სხვათა სილუეტები, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი არენაზე ზეობდნენ, რაკილა ნამდვილი ჩემპიონი ყუჩობდა.

1727 წელს ფიგმა სახელოვნად დაიცვა ტიტული ნედ სატონის წინააღმდეგ მატჩში, ასეთ დიდ ბრძოლათაშორის ინტერვალებს მიზეზად ის ედო, რომ შიშველი მუშტით მებრძოლნი ძალზე ზიანდებოდნენ.

გარდა ამისა, მოკრივენი ყალიბდებოდნენ რა პროფესიულ გლადიატორებად, არცთუ იოლად მოსაძიებელი გახლდათ მძიმე ქისის მქონენი მაღალშობილნი და მაღალადგილოვანნი გვამნი, საგრძნობ თანხას რომ გაიღებდნენ სანაძლეოდ.

1733 წელს ჯეიმს ფიგი კვლავ გამოჩნდა საბრძოლო ასპარეზზე, რადგან ერთმა გრაფმა იტალიიდან ჩამოიყვანა გარეული ხარივით ღონიერი და მასავით მძვინვარე გონდოლიერი ტიტო ალბერტო დი კარნო. ფიგმა, მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანს არ ეხილა რინგი, იოლად სძლია უცხოელს და გარეტაბული გონდოლიერი, როგორც კი ოდნავ მოვიდა გონს, მსწრაფლ გაეშურა სამშობლოსაკენ.

1730 წლის ენკენისთვეში ლონდონელი სპორტის მოყვარულნი ყურადღებით აკვირდებოდნენ ქალაქში გამოკრულ აფიშას, რომელიც იუწყებოდა, რომ ბაულინგ გრინზე მდებარე ჯიხურში ინგლისის ჩემპიონის ხელმძღვანელობით მსურველთ შეეძლოთ გაწვრთნილიყვნენ სპორტის ვაჟკაცურ სახეობებში პარით და კეტით ბრძოლასა და კრივში. ამ ჯიხურში გამოიწრთო შემდგომში ბევრი სახელოვანი მოკრივე.

ფიგმა რინგი მაღლა აზიდა სცენაზე, თოკების ნაცვლად ხის რიკულები შემოავლო და მოკრივეთა ყოფაში დაამკვიდრა სპარინგი. მან პირველმა მოახდინა კრივის რეკლამა, ამიტომაც სახელდებულ იქნა „კრივის მამად“.

ჯეიმს ფიგი დიდ მოვლენად იქცა კრივის სამყაროში. ამიტომაც იყო, რომ ცნობილმა ათლეტმა, კაპიტანმა ჯონ გოდფრეიმ, თავის წიგნში „მოკრივისმიერი თავდაცვა“, ჯეროვანი ხარკი მიუზღო მას. გოდფრეი, აყენებდა რა კრივს სპორტის სხვა სახეობებზე გაცილებით მაღლა, წერდა:

„ფიგის ხელმძღვანელობით მე შევიძინე დიდი ცოდნა კრივისა. მართალია, ყველაფერი ეს დამიჯდა დახეთქილი თავ-პირისა და დაჟეჟილ-დაბეგვილი სხეულის ფასად, მაგრამ მე მაინც ვარჩევდი სპარინგს თვით ჯეიმს ფიგთან, რამეთუ ეს იყო დიდად უნარიანი ოსტატი, მართალია, მწვრთნელი არ ზოგავდა პარტნიორს, სამაგიეროდ, ამ უკანასკნელს ასეთი სკოლის გავლის მერმე ძნელად თუ ვინმე დაუდგებოდა წინ.

ფიგი იყო ზვიადი და ცეცხლოვანი ხასიათის. ღონე, შემტევი ბუნება და თავდაცვის უბადო ხელოვნება მას აქცევდა უძლეველ მოკრივედ“.

ფიგთან მეგობრობდნენ და მას მფარველობდნენ „გულივერის მოგზაურობის“ ცნობილი ავტორი ჯონათან სვიფტი, გამოჩენილი პოეტი ალექსანდრ პოუპი და ფუნჯის დიდოსტატი უილიამ ჰოგარტი, ვინც შექმნა კრივის ამ ჭეშმარიტი დიდოსტატის შესანიშნავი პორტრეტი.

მაიკ ჰასკიო

კენ ნორტონი — ავარია გარდახდილი მსოფლიო ჩემპიონი

— **ცნობილმა** მოკრივემ, კენ ნორტონმა, ვინც ერკინებოდა და ტოლს არ უდებდა რინგის მძლეთამძლე ოსტატებს: ალის, ფორმენს, ფრეზერს, ჰოლმსს. ყველაზე დიდი ბრძოლა წამოიწყო 1985 წლის ერთ საღამოს, როცა საავტომობილო კატასტროფაში მოხვდა. ეს მშვენივრად აღნაგი კაცი სასტიკად დაშავდა, მაგრამ არ დაუდრკა განსაცდელს. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „პირისპირ შემზერს გასაჭირს და მზად არის მუშტი მიაგებოს მას“.

გადმოგცემთ ამ ჯოჯოხეთგამოვლილ კაცთან ჩვენი საუბრის ქარგას:

კენ ნორტონმა თქვა, რომ სპორტმა იგი გაიტაცა ყმაწვილკაცობიდანვე, თამაშობდა კალათბურთს, ფეხბურთს, ვარჯიშობდა მძლეოსნობაში. მერმე კი სამხედრო-საზღვაო კორპუსში ყოფნისას მეგობრებს ურჩევიათ, რინგზე ეცადა ბედი.

ყოფილმა მოკრივემ საოცრად თბილად მოიგონა თვისი მენეჯერი ბობ ბაირონი, რომელსაც „ჩემი დიდი თეთრკანიანი მამა“ უწოდა.

ღირსეულად მოიხსენია აგრეთვე ძველი მეტოქენი, რომელთაგან გამოჰყო მუჰამედ ალი. „ეს არის მოკრივის საუკეთესო თვისებებით შემკული სპორტსმენი, რინგის ნამდვილი გენერალი, ამასთან, ძალზე კეთილშობილი პიროვნება. სწორედ ის იყო პირველი ჩემი სტუმარი საავადმყოფოში.“ — თქვა ნორტონმა.

ძალზე საქებარი სიტყვებით ისაუბრა მსოფლიოს ამჟამინდელ ჩემპიონზე, მაიკ ტაისონზე. „ამ ორფად ნაქსოვი ვაჟი-კაცისაგან ჯერ კიდევ ძალიან ბევრს უნდა ველოდეთ“ — დასძინა მან.

ნორტონმა ილაპარაკა მის მიერ შექმნილ „ოქროს გიმნაზიუმზე“, ამ ჯანმრთელობის კერაზე, სადაც ხალისით დაიარება ოთხმოც წელს მიღწეული ხალხიც.

ყოფილი ჩემპიონი გამენდო, რომ ავარიის დროს საშინლად დაზიანდა. სამ ადგილას ჰქონია გახვრეტილი თავი, მოსტეხია ყბა, მარჯვენა ფეხი, სისხლი ჩაგუბებია ფილტვებში. ექიმებს უთქვამთ, ეს ავადმყოფი განწირულია, ხოლო თუ მოხდა სასწაული და გადარჩა, ვეგეტატიური სიცოცხლეღა უწერიაო. „ავარიის მერე შავმა ნაღველმა შემიპყრო, — არ დამიმალა რინგის დიდოსტატმა, — ბედი ჩემი, რომ სახლის ზედა სართულში, სადაც იარაღს ვინახავდი, არ შემეძლო ასვლა, თორემ სიცოცხლეს უთუოდ თვითმკვლელობით დავამთავრებდი“.

დიდი მადლიერების გრძნობით ახსენა თავისი მეუღლე ჯაკი და შვილი კენ ნორტონ-უმცროსი, რომელთაც დიდი თანადგომა გაუწევიათ ამ მძიმე დროს.

„მართალია, ჯერ სიარულიც კი მიჭირს, ვერც ბოლომდე გამართულად ვმეტყველებ. მერედა, რა! ბევრი მატჩი მომიგია და მწამს, ამაშიც გავიმარჯვებ. ადამიანი ჯერ ხოხავს, მერე დადის, შემდეგ კი დარბის. ამიტომაც უნდა ვიცხოვრო იმ განწყობით, თითქოსდა ახლად დავიბადე და, ხელახლა უნდა მივაღწიო ყველაფერს. ნუ გაიკვირვებთ, მწამს რომ ვირბენ კიდეც ძველებურად. რინგზე ყოფნისას ერთი ნაკლი მქონდა, ღმერთთან ვიყავ საკმაოდ გარიდებული. ახლა პირიქით: ღმერთთან კავშირის გარეშე შეუძლებელია არსებობა. სხეულს — გონება, ამ უკანასკნელს კი სული წარმართავს, ღმერთი კი ყოველივეს თავი და თავია. აი, რა უნდა სწამდეს ყოველსა კაცს და, მაშინ იგი ყველაფერს დასძლევს და მოერევა“.

ბრედ ჯეკობსი — კრივის უჩინო ატლანტი

როცა ტელეეკრანზე მიმდინარეობს დიდ მოკრივეთა მართლაც დიდებული მატჩი, და ერთმანეთს სცვლიან უმჯობესზე უმჯობესი კადრები, აღფრთოვანებული მაყურებელი ქება-დიდებას აღუვლენს ამ სანახაობის დამდგმელ რეჟისორს, სცენარისტს, ოპერატორს, თუ სხვათ.

მაგრამ ნაკლებად თუ მოისაზრებს ვინმე, რომ ყოველივე ამის მიღმა დგას ერთი უჩინო კაცი და ეგ ადამიანი რომ არა, გადაცემას არამცთუ დააკლდებოდა ხიბლი და ლაზათი, არამედ ვინ უწყის იქნებ შეუძლებელიც გამხდარიყო მისი მოწყობა. ვინ არის ეს კაცი და რის მოქმედია იგი?!

32 წლის ბრედ ჯეკობსი არცთუ დიდი ხანია, რაც მოღვაწეობს ამერიკის ტელესტუდიაში, მაგრამ ის ძალიან მალე იქცა კრივის ნაცად სპეციალისტად.

„პირველად ვერცკი ვასხვავებდი ბუმბულის წონის მოკრივესა და აბსოლუტურ ჩემპიონს, ოღონდ კრივის მენეჯერებთან— კენ როზენბერგთან, ფილ ელისისთან თუ სხვებთან ურთიერთობა და კრივის მექაში, მედისონ სკვერ გარდენში, მიმოძრაობამ მაზიარა ამ სფეროს მრავალ საიდუმლოს“ — განაცხადა მან ჟურნალისტ კენ ნოქსთან საუბარში. ბრედ ჯეკობსს ევალება შეარჩიოს რინგზე მებრძოლნი, კურირებდეს გადაცემის ტექნიკურ და გარკვეულწილად მხატვრულ მხარეებსაც; აგვარებდეს უეცარ უთანხმოებას და ესრეთ უმორეს, ვინ მოსთვლის რამდენგზის მომხდარა, გადაცემა კინაღამ ჩაშლილა, სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო, მაგრამ ბრედ ჯეკობსს თავისი გრძნეული ძალით კალაპოტში ჩაუყენებია ყოველივე.

ასე რომ, როცა ექსტაზში შესული აღტაცებული მაყურებელი შეიძახებს, რა დიდებული გადაცემაა, აფერუმ მის მომწყობთო, მას უნდა ახსოვდეს, რომ ყოველივე ამის მიღმა იფარვის ადამიანი, ვის მხრებზეც დგას სანახაობის ყოველი მსხვილმანი თუ წვრილმანი, კრივის სპექტაკლის უჩინო ატლანტი — ბრედ ჯეკობსი.

ერთად დავაზუსტოთ, ერთად შევქმნათ სრულყოფილი მატიანე

საქართველოს სპორტსმენთა მიერ დამყარებული მსოფლიო რეკორდების ზუსტ აღნუსხვას დიდი ისტორიულ-შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. სამწუხაროდ, ზოგიერთი შედეგი უკვალოდ არის გამქრალი, ზოგს კი დაზუსტება და შევსება სჭირდება. დარწმუნებული ვართ, დაინტერესებული მკითხველი გამოეხმაურება ჩვენს თხოვნას და მოგვაწვდის მასალებს, რომლებიც მის განკარგულებაში იმყოფება.

ველოსპორტი

გიტი 500 მ. ხვლით. 29,4. ომარ ფხაკაძე („დინამო“, თბილისი). 1965 წ. ერევანი.

გიტი 500 მ. ხვლით. 29,1. ომარ ფხაკაძე („დინამო“, თბილისი), 1965 წ. ერევანი.

გიტი 200 მ. ხვლით. 10,69. ომარ ფხაკაძე („დინამო“, თბილისი). 1967 წ. მეხიკო.

გიტი 200 მ. ხვლით. 10,61. ომარ ფხაკაძე („დინამო“, თბილისი). 1967 წ. მეხიკო.

სალიდერო რბოლა 50 კმ. 41.17,82. ვლადიმერ პოპოვი („დინამო“, თბილისი). 1974 წ. თბილისი.

სალიდერო ერთსაათიანი რბოლა. 72 კმ. 804,1 მ. ვლადიმერ პოპოვი („დინამო“, თბილისი). 1974 წ. თბილისი.

გიტი 500 მ. ხვლით. 27,896. ოთარ მჭედლიშვილი. 1983 წ. მოსკოვი.

გიტი 200 მ. ხვლით. 10,097. ვლადიმერ ადამაშვილი. 1990 წ. მოსკოვი.

მძლეოსნობა

სიგრძეზე ხტომა ადგილიდან 3 მ. 485,5 სმ. დიმიტრი იოსელიანი. („ნაუკა“, თბილისი). 1936 წ.

ბადრო. 49,11 მ. ნინო დუმბაძე („დინამო“, თბილისი). 1939 წ. მოსკოვი.

ბადრო. 49,54 მ. ნინო დუმბაძე („დინამო“, თბილისი). 1939 წ. თბილისი.

ბადრო. 49,88 მ. ნინო დუმბაძე („დინამო“, თბილისი). 1944 წ. მოსკოვი.

ბადრო. 50,50 მ. ნინო დუმბაძე („დინამო“, თბილისი). 1946 წ. სარპსბორგი.

ბადრო. 53,25 მ. ნინო დუმბაძე („დინამო“, თბილისი). 1948 წ. მოსკოვი.

ბადრო. 53,37 მ. ნინო დუმბაძე („დინამო“, თბილისი). 1951 წ. გორი.

ბადრო. 57,04 მ. ნინო დუმბაძე („დინამო“, თბილისი). 1952 წ. თბილისი.

ესტაფეტა 4x200 მ. 1.39,0. ნადეჟდა დვალიშვილი („დინამო“, თბილისი). 1953 წ. ბუქარესტი.

ესტაფეტა 4x200 მ. 1.36,4. ნადეჟდა დვალიშვილი („დინამო“, თბილისი). 1953 წ. ბუქარესტი.

ესტაფეტა 4x200 მ. 1.39,0. დეჟდა დვალიშვილი („დინამო“, თბილისი). 1953 წ. ბუდაპეშტი.

სიგრძეზე ხტომა. 5,25 მ. ნადეჟდა დვალიშვილი („დინამო“, თბილისი). 1954 წ. თბილისი.

სამხტომი. 17,23 მ. ვიქტორ სანეევი („დინამო“, სოხუმი). 1968 წ. მეხიკო.

სამხტომი. 17,39 მ. ვიქტორ სანეევი („დინამო“, სოხუმი). 1968 წ. მეხიკო.

სამხტომი. 17,44 მ. ვიქტორ სანეევი („დინამო“, სოხუმი). 1972 წ. სოხუმი.

სროლა

მშ-6. (ჩოქელა). 390. შოთა ქველიაშვილი („დინამო“, თბილისი). 1961 წ. მოსკოვი.

მშ-6. (ჩოქელა). 392. შოთა ქველიაშვილი („დინამო“, თბილისი). 1963 წ. ჰელსინკი.

მშ-6. (ჩოქელა). 393. შოთა ქველიაშვილი („დინამო“, თბილისი). 1963 წ. ჰელსინკი.

მშ-6, (ჩოქელა). 394. შოთა ქველიაშვილი („დინამო“, თბილისი). 1969 წ. მოსკოვი.

ნშ-6. 1152. შოთა ქველიაშვილი („დინამო“, თბილისი). 1963 წ. ჰელსინკი.

ნშ-6. 1154. შოთა ქველიაშვილი („დინამო“, თბილისი). 1963 წ. ჰელსინკი.

ნშ-6. (ჩოქელა). 1554. შოთა ქველიაშვილი („დინამო“, თბილისი). 1969 წ. პლზენი.

მპ-5. 1767. ნინო სალუქვაძე. (ასკ, თბილისი). 1986 წ.

მპ-5. 595. ნინო სალუქვაძე (ასკ, თბილისი). 1987 წ. სეული.

მპ-5. 695. ნინო სალუქვაძე (ასკ, თბილისი). 1987 წ. სეული.

მპ-5. 690. ნინო სალუქვაძე. (ასკ, თბილისი). 1988 წ. სეული.

მპ-5. 693. ნინო სალუქვაძე (ასკ, თბილისი). 1989 წ. ზაგრები.

მპ-5. (გუნდური). 1564. ნინო სალუქვაძე (ასკ, თბილისი). 1988 წ. სეული.

პპ-2. 390. ნინო სალუქვაძე. (ასკ, თბილისი), 1988 წ. სეული.

შენიშვნა: 1988 წლიდან ახალი სამიზნეებია.

სტენდი (მრგვალი)

200 (200). ტარიელ ჟღენტი. („ლოკომოტივი“, თბილისი), 1979 წ. ტურინი.

578 (600). თამაზ იმნაიშვილი („ლოკომოტივი“, თბილისი). გუნდური. 1977 წ. დორჩესტერი.

447 (450). ტარიელ ჟღენტი. („ლოკომოტივი“, თბილისი). გუნდური. 1984 წ. სარაგოსა.

447 (450). თამაზ იმნაიშვილი („ლოკომოტივი“, თბილისი). გუნდური. 1984 წ. სარაგოსა.

447 (450). თამაზ იმნაიშვილი („ლოკომოტივი“, თბილისი). გუნდური, 1987 წ. ლაჰტი.

ძალოსნობა

ქვემსუბუქი. სამჭიდი. 337,5 კგ. რაფაელ ჩიმიშკიანი („დინამო“, თბილისი). 1952 წ. ჰელსინკი.

ქვემსუბუქი. სამჭიდი. 340,0. კგ. რაფაელ ჩიმიშკიანი („დინამო“, თბილისი). 1954 წ. თბილისი.

ქვემსუბუქი. სამჭიდი. 342,5 კგ. რაფაელ ჩიმიშკიანი („დინამო“, თბილისი). 1954 წ. პეტროპავლოვსკი.

ქვემსუბუქი. სამჭიდი. 345,0. რაფაელ ჩიმიშკიანი („დინამო“, თბილისი). 1954 წ. პეტროპავლოვსკი.

ქვემსუბუქი. სამჭიდი. 350,0. რაფაელ ჩიმიშკიანი („დინამო“, თბილისი). 1954 წ. ვენა.

ქვემსუბუქი. სამჭიდი. 402,5. დიტო შანიძე („განთიადი“, თბილისი). 1972 წ. ტალინი.

ქვემსუბუქი. აჭიმვა. 107,2. ხამი ხანუკაშვილი („დინამო“, თბილისი). 1954 წ. ხარკოვი.

ქვემსუბუქი. აჭიმვა. 108,0. ხამი ხანუკაშვილი („დინამო“, თბილისი). 1954 წ. ბუქარესტი.

ქვემსუბუქი. ატაცი. 109,0. რაფაელ ჩიმიშკიანი („დინამო“, თბილისი). 1955 წ. მინსკი.

ქვემსუბუქი. ატაცი. 110,0 კგ. რაფაელ ჩიმიშკიანი („დინამო“, თბილისი). 1957 წ. თეირანი.

ქვემსუბუქი. ატაცი. 110,5 კგ. რაფაელ ჩიმიშკიანი („დინამო“, თბილისი). 1957 წ. თეირანი.

ქვემსუბუქი. აკვრა. 143,0 კგ. რაფაელ ჩიმიშკიანი („დინამო“, თბილისი). 1954 წ. ვენა.

ქვემსუბუქი. აკვრა. 143,5 კგ. რაფაელ ჩიმიშკიანი („დინამო“, თბილისი). 1957 წ. თეირანი.

ქვემსუბუქი. აკვრა. 153,5 კგ. დიტო შანიძე („განთიადი“, თბილისი). 1971 წ. დონის როსტოვი.

ქვემსუბუქი. აკვრა. 156,0 კგ. დიტო შანიძე („განთიადი“, თბილისი). 1972 წ. კონსტანცა.

მშვილდოსნობა

მ-1 (გუნდური). 3864. ქეთევან ლოსაბერიძე („ბურევესტნიკი“, ქუთაისი). გუნდური. 1972 წ. ლუქსემბურგი.

მ-2 (გუნდური). 2433. ქეთევან ლოსაბერიძე („ბურევესტნიკი“, ქუთაისი). 1973 წ. ალმა-ათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ ბედ ქვეშ...

ის დროც მოვა...

„მარიხი“: „საერთაშორისო ნათლობა“

„**თავისუფლების** თასი“ — მოგეხსენებათ, ამ სახელწოდებით ახლა არაერთი ტურნირი ეწყობა, რამდენიმე მათგანზე (სპორტის სხვადასხვა სახეობაში) უკვე ვწერდით კიდეც. სხვას და უკეთესს მართლაც ვერაფერს დაარქმევ შეჯიბრებებს, რომლებზეც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, უკეთესი მერმისისათვის მებრძოლი ქვეყნების წარმომადგენლები იკრიბებიან.

სწორედ ასე ეწოდებოდა, ამგვარი შეჯიბრება გახლდათ ახლახან რიგაში გამართული მორაგბეთა საერთაშორისო ტურნირი. ლატვიის სამოქალაქო ავიაციის ინსტიტუტის მორაგბეებმა ამ ასპარეზობაზე მიიწვიეს კაუნასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის „მარიხი“, პრაღის უნივერსიტეტისა და ვარშავის ფიზიკური კულტურის აკადემიის მორაგბეები.

„მარიხი“ ახალბედა, წლეულს შექმნილი ახალგაზრდული გუნდია და, გვერწმუნეთ, სიმპათიებსაც იმსახურებს. მის ღირსებას ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები და თბილისის სკოლების მოსწავლეები იცავენ. კოლექტივის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორატს, ამ სასწავლებლის სპორტკლუბსა და სპორტთამაშების კათედრას, სპონსორს — მცირე საგამომცემლო საწარმო „მარიხს“ (ხელმძღვანელი კოტე წერეთელი). გუნდმა ურიგოდ არ იასპარეზა საქართველოს მორაგბეთა წლევანდელი ჩემპიონატის ამერის ქველიგაში (მეორე ადგილი დაიკავა), საგაისოდ კი ეროვნულ ლიგაში გადასვლას ისახავს მიზნად. რიგაში გამართული ტურნირი „მარიხისთვის“ პირველი საერთაშორისო შეჯიბრება გახლდათ და, იოლი მისახვედრია, რა თავგამოდებით ითამაშებდნენ ბიჭები.

— მართლაც, — დაგვიმოწმა „მარიხის“ მოთამაშე უფროსმა მწვრთნელმა ლევან მგელაძემ — ასე თავდაუზოგავად „მარიხის“ წევრებს ჯერ არ უთამაშიათ. პირველ შეხვედრაში ლიტველები დავამარცხეთ — 8:0, მეორეში ჩეხოსლოვაკიელები — 13:6, მესამეში — პოლონელები — 6:0. მასპინძლები, ლატვიელი მორაგბეებიც დაუმარცხებლად იბრძოდნენ, ასე რომ, წრიული ტურნირის ბოლო მატჩი მათსა და ჩვენს შორის, ფაქტობრივად, ფინალი გახლდათ. ჩვენს მეტოქეებს ბურთების უკეთესი სხვაობა ჰქონდათ, ამიტომ მათ ფრეც აძლევდათ ხელს, ჩვენ კი მხოლოდ—გამარჯვება. თავდაპირველად მასპინძლები დაწინაურდნენ — საჯარიმო გაიტანეს. ჩვენ მხოლოდ პირველი ტაიმის ბოლოს შევძელით ლელოს გატანა და ტაიმიც ასეთი ანგარიშით — 4:3 დასრულდა ჩვენს სასარგებლოდ. მეორე ტაიმშიც ჯერ მეტოქეებმა იმარჯვეს — ლელოც გაიტანეს, რეალიზაციაც გამოიყენეს და 9:4-ით დაწინაურდნენ. აი, ამ მომენტიდან ლატვიელებს, ფაქტობრივად, ბურთი „აღარ უნახავთ“ — ჩვენები გამუდმებით და მძაფრად უტევდნენ, ჯერ საჯარიმოთი შეამცირეს ანგარიშში სხვაობა, თამაშის ბოლო წამებზე კი ბურთიც დაამიწეს. 11:9 — საბოლოოდ ასე გავიმარჯვეთ.

გამარჯვების გარდა, ცხადია, სხვაც ბევრი იყო ჩვენთვის ღირსსახსოვარი — მეგობრული შეხვედრები, ექსკურსიები, საქმიანი საუბრები, საერთო საწუხარსა და მიზნებზე მსჯელობა, თანამშრომლობისა და მჭიდრო კონტაქტების გზების ძიება. ეჭვი არ მეპარება, ეს შეხვედრები და საუბრები უკვალოდ არ ჩაივლის და ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს — მით უფრო, რომ ძალიან გვსურს ჩვენც ვუმასპინძლოთ ამგვარ ტურნირს.

ათწლეულის ნაკრები

პრაღის ჟურნალმა „გოლმა“ საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა, რომლის მიზანი იყო განვლილი ათწლეულის (1981-1990) იდეალური ნაკრების შედგენა. გამოკითხვას ფეხბურთის ბევრი ექსპერტი გამოეხმაურა.

მეკარეებს შორის განიხილეს 7 კანდიდატურა. მათ რიცხვში ყველაზე უფრო ხშირად ასახელებდნენ ვალტერ ძენგას (იტალია), რინატ დასაევსა (საბჭოთა კავშირი) და ჰარალდ შუმახერს (გფრ). საჭირო გახდა მათ შორის არჩევანის გაკეთება. იმასთან დაკავშირებით, რომ ძენგა უძლიერესთა შორის შედარებით ახლახან არის დასახელებული (1989 წლიდან), მანამდე კი მის თამაშს მაინცდამაინც არავინ აღნიშნავდა, გადაწყვიტეს იტალიელი მეკარის „პრემიერებისაგან“ თავი შეეკავებინათ. რაც შეეხება დასაევს, მას დიდი სახელი ჰქონდა 1986-1988 წლებში, შემდეგ კი ავტორიტეტი მნიშვნელოვანწილად დაკარგა. ამიტომ გადაწყდა უპირატესობის შუმახერისათვის მინიჭება; განვლილი ათწლეულიდან მთელი 5 სეზონის მანძილზე იგი საერთოდ უბადლოდ ითვლებოდა; ორჯერ ითამაშა მსოფლიო პირველობაზე, დიდი წარმატებით გამოდიოდა კლუბშიც და, რომ არა ის ზიანი, რომელიც გახთქმული მეკარის სახელს მისი ავტობიოგრაფიული წიგნის გამოქვეყნებამ მიაყენა, ალბათ, მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატშიც ითამაშებდა.

[illegible] რუმენიგე

დაცვა. ორ სტოპერზე დიდი დავა არ ყოფილა. კარლ-ჰაინც ფიორსტერი 80-იანი წლების პირველ ნახევარში გფრ-ის ნაკრების დაცვის ნამდვილი ბურჯი იყო. მან ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალს მსოფლიო პირველობებზე მოპოვებული ორი ვერცხლის მედალიც დაუმატა; გამოირჩეოდა უაღრესად მტკიცე და საიმედო თამაშით. დიდი სახელი ჰქონდა ფეხბურთის სამყაროში დანიელ ცენტრალურ მცველ მორტენ ოლსენს, ეროვნული ნაკრების კაპიტანს. 1984-88 წლებში იგი მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ ვარსკვლავად ითვლებოდა, შევიდა „ასიანთა კლუბში“ — დანიის ნაკრებში 103 მატჩი აქვს ჩატარებული. ამ „კლუბში“ ოლსენი ლეგენდარულ ფრანც ბეკენბაუერთან ერთად მე-13-14 ადგილებს იყოფს, უახლოეს წლებში „ასიანთა კლუბში“ დიდი ცვლილებები არ არის მოსალოდნელი. რაც შეეხება მარცხენა მცველის პოზიციას, აქ კამათი არ გამართულა —მიიჩნიეს, რომ ათწლეულის მანძილზე საუკეთესო იყო ფრანგი მანუელ ამორო. იგი, 1982 წლიდან მოყოლებული, ბრწყინვალედ თამაშობდა ეროვნულ ნაკრებში, მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა, ბრინჯაო — მსოფლიო პირველობაზე, გამოირჩეოდა თამაშის შეუპოვარი და ამავე დროს ელეგანტური მანერით, ხშირად წარმატებით ერთვებოდა იერიშებში. აი, მარჯვენა მცველის შერჩევამ აზრთა სხვაობა გამოიწვია. ასახელებდნენ უნივერსალურ გერმანელ ბრიგელს, ნაკრების ახლანდელ წევრს ბერთოლდს, მაგრამ ბოლოს უპირატესობა მიენიჭა ბელგიელ ერიკ გერეტსს. გაითვალისწინეს მისი დიდი ოსტატობა, რამაც საშუალება მისცა ბელგიის ნაკრებში ადგილი მთელი 10 წლის მანძილზე შეენარჩუნებინა, რაც საერთაშორისო პრაქტიკაში საკმაოდ იშვიათი მოვლენაა.

ნახევარდაცვა. აქ ძალიან ბევრი — 25 კანდიდატი დაასახელეს. საბოლოოდ წარმატებას ვერ მიაღწიეს ისეთმა გამოჩენილმა ოსტატებმაც, როგორებიც არიან შუსტერი (გერმანია), მიჩელი (ესპანეთი), ჟირესი (საფრანგეთი) და სტოიკოვიჩი (იუგოსლავია). ზოგს რა დაუწუნეს, ზოგს რა. ბოლოს უპირატესობა მიენიჭათ რუუდ გულიტს (ჰოლანდია), ლოთარ მათეუსს (გერმანია), ბრაიან რობსონსა (ინგლისი) და მიშელ პლატინის (საფრანგეთი) — თავიანთი ქვეყნების ეროვნულ ნაკრებთა ოთხ კაპიტანს.

მიშელ პლატინი

თავდასხმა. ცნობილია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე გამოჩენილი თავდამსხმელების რიცხვი მეტად შემცირდა. იმ ორ ადგილზე, რომელიც ექსპერტებს უნდა შეერჩიათ, მკაცრი კრიტიკული მიდგომის შემდეგ სულ სამი პრეტენდენტი იყო. მათგან ერთი ზედმეტი აღმოჩნდა — კლინსმანი (გერმანია), რომელიც ექსპერტებს უფრო ამჟამინდელ ათწლეულის მოთამაშედ მიაჩნიათ. უპირატესობა კი კარლ-ჰაინც რუმენიგესა (გერმანია) და მარკო ვან ბასტენს (ჰოლანდია) მიენიჭათ. რუმენიგემ, როგორც ცნობილია, უკვე დაამთავრა თამაში, მაგრამ წინა ათწლეულში საერთაშორისო ფეხბურთში თვალსაჩინო როლს თამაშობდა. ვან ბასტენის ბრწყინვალე კარიერა გრძელდება და მან კვლავაც უნდა გამოიჩინოს თავი.

მაშ ასე, ათწლეულის ნაკრებში მოხვდნენ: შუმახერი, გერეტსი, ფიორსტერი, ოლსენი, ამორო, გულიტი, მათეუსი, რობსონი, პლატინი, რუმენიგე და ვან ბასტენი.

გივი თორელი

ფეხბურთის ამბები

● **სამხრეთ** ამერიკის ჩემპიონატის წინასწარი ეტაპის დასასრულს ძლიერად ითამაშეს ჩილელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც ანგარიშით 4:0 დაამარცხეს პარაგვაის ნაკრები და 6 შესაძლებლიდან 6 ქულით გავიდნენ ფინალურ ტურნირში (მანამდე ჩილელებმა მოუგეს პერუს გუნდს — 3:2).

დღეს იწყება სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი. ჩილეს ნაკრების გარდა, აქ მონაწილეობის უფლება უკვე გაინაღდეს არგენტინელმა ფეხბურთელებმა, პარალელურ, მეორე ჯგუფში წარმატებას ბრაზილიის გუნდს უქადდნენ, მაგრამ ბრაზილიელებმა წინასწარი მატჩი წააგეს კოლუმბიის ნაკრებთან (0:2) და ფრედ დაამთავრეს თამაში ურუგვაელებთან (1:1).

ბრაზილიელთათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა წინასწარი ეტაპის ბოლო შეხვედრას ეკვადორის ნაკრებთან. ჩილეს ქალაქ ვინია-დელ-მარში მათ ანგარიშით 3:1 დაამარცხეს ეკვადორის გუნდი და ფინალში გავიდნენ. ამ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა კოლუმბიის ნაკრებმა ურუგვაის გუნდთან დამარცხების მიუხედავად (0:1).

„ამერიკის თასის“ ფინალურ ეტაპზე, ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან არგენტინა-ბრაზილია და კოლუმბია-ჩილე.

● **ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მ. ბლატერმა განაცხადა, რომ, მხარს უჭერს ოფიციალურ ჩემპიონატებში და საერთაშორისო შეხვედრებში პროფესიონალ არბიტრთა მსაჯობას. იგი თვლის, რომ პროფესიონალ მსაჯთა საქმიანობა ოფიციალურად უნდა დაწესდეს 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატიდან. მ. ბლატერის აზრით, მოსაწონია იტალიის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება, რომელსაც განზრახული აქვს პროფესიონალი მსაჯების მომსახურება დააწესოს 1993-94 წლების სეზონიდან.

● **უნგრეთის** ჟურნალი „ლაბდარუგაში“ იტყობინება, რომ რუმინეთის ნაკრების თითქმის ყველა წევრი, რომლებიც 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდნენ, უცხოეთის ქვეყნებში წავიდა. ჟურნალის ცნობით, გ. ჰაჯი ბუქარესტის „სტიაუადან“ 4,1 მილიონ დოლარად გადავიდა მადრიდის „რეალში“, ფ. რადუჩოიუ ბუქარესტის „დინამოდან“ წავიდა იტალიის „ბარიში“ (2,4 მილიონი დოლარი), დ. ლუპუ გაემგზავრა საბერძნეთს, გ. პოპესკუ — ჰოლანდიას, მ. ლაკატუში — იტალიას და ა. შ.

● **იტალიური** გაზეთის „კორიერე დელა სერას“ ცნობით, აქაური კლუბის „ფოჯას“ ხელმძღვანელობამ განიზრახა მიიწვიოს ა. მოსტოვოი და ი. შალიმოვი მოსკოვის „სპარტაკიდან“, ი. კოლივანოვი — მოსკოვის „დინამოდან“.

● **მიუნხენის** ცნობილი კლუბის „ბაიერნის“ კაპიტანს კლაუს აუგენტალერს 33 წელი შეუსრულდა. მან გადაწყვიტა თავი დაანებოს ფეხბურთის თამაშს.

კ. აუგენტალერი შვიდჯერ იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონი, შარშან კი მსოფლიო ჩემპიონობაც მოიპოვა. მისი აზრით, ეს სავსებით საკმარისია ფეხბურთელისთვის, ახლა კი მას სურს მშვიდად იცხოვროს.

● **ბელგიის** ეროვნული ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ცნობილი მეკარე ჟან-მარი პფაფი ფეხბურთს ეთხოვება. 6 სექტემბრისთვის დანიშნულია მისი გამოსათხოვარი მატჩი. ამ დღეს ბელგიის საუკეთესო ფეხბურთელთაგან შედგენილი ნაკრები შეხვდება მსოფლიოს ნაკრებს. ბელგიელებს უხელმძღვანელებს გი ტისი, მსოფლიოს ნაკრებს კი უდო ლატეკი.

● **საკავშირო** ჩემპიონატში გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების ორი შეხვედრა: ცსკა — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 0:1, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „დინამო“ (მინსკი) 1:1.

● **გამოვლინდა** არგენტინის ჩემპიონი—„ნეველს ოლდ ბოისი“, რომელმაც ორ მატჩში თანაბრად ითამაშა „ბოკა ხუნიორსთან“ (1:0 და 0:1) და შემდეგ დამატებითი პენალტებით გაიმარჯვა ანგარიშით 3:1.

● **საკავშირო** ჩემპიონატის მე-18 ტურის შეხვედრები დამთავრდა ასეთი შედეგებით: „დინამო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 6:1,. „დინამო“ (კიევი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 2:0, „სპარტაკი“ (ვლადიკავკაზი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 1:2, „ტორპედო“ (მოსკოვი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 0:0, ცსკა — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 0:1, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „დინამო“ (მინსკი) 1:1.

● **იტალიაში** გაიმართა სასამართლოს პირველი სხდომა, რომელმაც განიხილა „ნაპოლის“ მოთამაშე არგენტინელი ფეხბურთელის დიეგო მარადონას მიერ ნარკოტიკების მიღების საქმე. სასამართლოს სხდომა ხანმოკლე იყო. მარადონას ვექილმა მოითხოვა პროცესის გადადება იმ მიზეზით, რომ ძიების მასალები საკმარისად სრული და მრავალმხრივი არ არის, გარდა ამისა, თვით ფეხბურთელი ამჟამად არგენტინაშია, სადაც სპეციალურ სამკურნალო კურსს გადის. სასამართლო დაეთანხმა ვექილს — პროცესი 18 სექტემბერს განახლდება.

კვლავ იტალიელთა გამარჯვება

მსოფლიო ჩემპიონატი საგზატკეცილო წრიულ მოტორბოლაში

ავსტრიის „ზალცბურგრინგსა“ და ესპანეთის „ხარამას“ ავტომოტოდრომებზე გაიმართა საგზატკეცილო წრიულ მოტორბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი ორი ეტაპი.

„ზალცბურგრინგზე“ 250 კბ სმ-ში მოასპარეზე ლუკა კადალორამ (იტალია, „როტმანს ჰონდა“) ვერაფრით ვერ გააუმჯობესა საკვალიფიკაციო რბოლებში პირველ დღეს ნაჩვენები მეექვსე შედეგი და ამაში დაადანაშაულა „მიშლენი“ (საბურავების არასწორად შერჩევაში). იტალიელი მოტომრბოლის მთავარი მეტოქე, გერმანელი ჰელმუტ ბრადლი („ჰონდა“) პირველი იყო, ხოლო იტალიელი პიერფრანჩესკო კილი („აპრილა“) —მეორე. 125 კბ სმ-ში საუკეთესონი იყვნენ ლორის კაპიროსი და ფაუსტო გრეზინი „პილერი-ჰონდას“ გუნდიდან. 500 კბ სმ-ში ყველა ჩამოიტოვეს ავსტრალიელმა მაიკლ დუენმა („როტმანს-ჰონდა“) და ამერიკელებმა: კევინ შვანცმა („სუძუკი“) და უეინ რეინიმ („მარლბორო-იამაჰა“). მეექვსე იყო კიდევ ერთი ამერიკელი მოტომრბოლი, ედი ლოუსონი („კაჯივა“).

125 კბ სმ-ში საწვრთნელი რბოლები მეორე დღეს მოიგო რალფ ვალდმანმა (გერმანია „ჰონდა“); რომელმაც ლორის კაპიროსის შიერ წინა დღით ნაჩვენები შედეგი გააუმჯობესა. დანარჩენი შედეგები 250 და 500 კბ სმ-ში უცვლელი დარჩა.

მხოლოდ ფაუსტო გრეზინი დარჩა კმაყოფილი „ზალცბურგრინგზე“ ნაჩვენები შედეგით. იტალიელმა პილოტმა ტაქტიკურად და ტექნიკურად დაჯაბნა გერმანელი რალფ ვალდმანი და „სეზონის“ აღმოჩენა — იაპონელი ნობორუ უედა, რომელიც იტალიელი ექიმის კოსტას დახმარებით სწრაფად გამოჯანმრთელდა „მიზანოს“ ტრასაზე მიღებული ტრავმისგან. ფაუსტო გრეზინიმ მე-20 „გრან პრი“ მოიპოვა.

250 კბ სმ-ში ლუკა კადალორა ამჯერად მეხუთე იყო, ხოლო რბოლა მოიგო მისმა მთავარმა მეტოქემ გერმანელმა ჰელმუტ ბრადლმა („ჰონდა“). მოდენელმა მოტომრბოლმა საკუთარ მარცხში ბრალი დასდო მთელ გუნდს, განსაკუთრებით კი მექანიკოსებს, რაშიც მას მენეჯერიც დაეთანხმა. მიუხედავად ამისა, კადალორა ჯერ კიდევ ლიდერობს ჩემპიონატს პირად ჩათვლაში, მაგრამ მხოლოდ სამი ქულით უსწრებს ბრადლს.

500 კბ სმ-ში ავსტრალიელმა მაიკლ დუენმა („როტმანს-ჰონდა“) მოიგო ე. წ. სტარტი-ფინიში. ამერიკელი უეინ რეინი („იამაჰა“) ძალიან ცდილობდა ვასწრებას, მაგრამ ვერაფერი მოახერხა.

მაიკლ დუენმა უკვე სამი „გრან პრი“ მოიგო და, სპეციალისტთა აზრით, ყველა რბოლა უშეცდომოდ ჩაატარა.

500 კბ სმ-ში მეორედან მეხუთეს ჩათვლით ადგილები დაიკავეს უეინ რეინიმ (აშშ, „იამაჰა“), კევინ შვანცმა (აშშ, „სუძუკი“), უეინ გარდნერმა (ავსტრალია, „ჰონდა“) და ედი ლოუსონმა (აშშ, „კაჯივა“).

„ხარამას“ ავტომოტოდრომზე, ესპანეთში საკვალიფიკაციო რბოლების პირველ დღეს 250 კბ სმ-ში საუკეთესონი იყვნენ ლუკა კადალორა და ჰელმუტ ბრადლი. 125 კბ კმ-ში იაპონელმა ნობორუ უედამ („ჰონდა“) აჯობა ფაუსტო გრეზინის, ლორის კაპიროსი მეოთხე იყო. 500 კბ სმ-ში პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს ამერიკელებმა: უეინ რეინმა და კევინ შვანცმა.

აუტანელმა სიცხემ ხელი ვერ შეუშალა იტალიელებს ლუკა კადალორას და ეძიო ჯანოლას („დერბი“) ეჩვენებინათ საუკეთესო დრო საკვალიფიკაციო რბოლების მეორე დღეს 250 და 125 კბ სმ-ში.

500 კბ სმ-ში თანამემამულის, უეინ რეინის („იამაჰა“) მიერ ნაჩვენები შედეგი გააუმჯობესა კევინ შვანცმა. მეექვსე იყო კიდევ ერთი ამერიკელი მოტომრბოლი — ედი ლოუსონი.

ამჯერად ლუკა კადალორა შედეგით კმაყოფილი დარჩა. მან თქვა, რომ გუნდი კვლავ კარგად მუშაობს.

250 კბ სმ-ში იტალიელებმა: პიერფრანჩესკო კილიმ („აპრილია“) და დორინო რომბონიმ („ჰონდა“) მეოთხე და მეექვსე ადგილები დაიკავეს.

იტალიელი სპეციალისტები ხუმრობდნენ, რომ ესპანეთის ჰავამ ხელი შეუწყო იტალიელ ეძიო ჯანოლას, რომელიც ესპანური „დერბის“ ფირმის მოტოციკლით ასპარეზობს, ეჩვენებინა საუკეთესო დრო 125 კბ სმ-ში. ევროპის „გრან პრის“ კი დაეუფლა „პილერი ჰონდას“ დუეტი. ლორის კაპიროსი პირველი იყო, ხოლო ფაუსტო გრეზინი — მეორე.

250 კბ სმ-ში შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ლუკა კადალორამ მადლობა გადაუხადა თავის გუნდს და „მიშლენს“ და პატიება ითხოვა ერთი კვირის წინ ავსტრიაში დამარცხების შემდეგ მიყენებული შეურაცხყოფისთვის.

ლუკა კადალორამ მე-16 „გრან პრი“ მოიგო და უფრო განიმტკიცა ადგილი პირად ჩათვლაში.

500 კბ სმ-ში საუკეთესოდ გამოვიდა უეინ რეინი, რომელმაც დაამარცხა „როტმანს-ჰონდას“ ავსტრალიური დუეტი — მაიკლ დუენი და უეინ გარდნერი. კევინ შვანცი მეოთხე იყო.

დავით ჩუბინიძე



შეჯიბრების ტრასაზე.

რა არ შემთხვევია...

მსოფლიო ექსჩემპიონ ვასილ სმისლოვს, რომელიც ამას წინათ 70 წლისა გახდა, ათასი რამ გადახდენია, ზოგი სატირალი, ზოგიც სასაცილო.

აი, ორი საყურადღებო შემთხვევა:

1983 წელს პრეტენდენტთა მატჩში სმისლოვსა და ჰიუბნერს შორის, მას შემდეგ, რაც ძირითადი და დამატებითი პარტიები თანაბარი ანგარიშით დამთავრდა, გადაწყვიტეს გამარჯვებული წილისყრით გამოევლინათ. ჰიუბნერმა ვერ გაუძლო, რაც მოხდება, მოხდესო და შინ გაემგზავრა. ასე შეთანხმდნენ — რულეტი ბრუნვას დაიწყებდა, ჰიუბნერის ნიშანი შავი იყო, სმისლოვისა კი წითელი, იგებდა ის, ვის ფერზეც რულეტი გაჩერდებოდა. დაატრიალეს რულეტი და იგი... „ნოლზე“ შეჩერდა. ეს არავის აძლევდა უპირატესობას. კიდევ ერთი ცდა და... წითელი ნიშანი — გაიმარჯვა სმისლოვმა.

— უამრავ შეჯიბრებაში მითამაშია. რას ვიფიქრებდი, რომ პრეტენდენტთა მატჩს მოვიგებდი... რულეტით!

ერთი ასეთი შემთხვევაც. სმისლოვი ტურნირში მონაწილეობდა არგენტინელ დიდოსტატ ჰერმან პილნიკთან ერთად. პილნიკი საკმაოდ გვიან ადგომას იყო შეჩვეული, აქ კი დილის 6 საათზე მეზობელ ნომერში სიმღერის ხმამ გააღვიძა. ჯერ იფიქრა, წავალ, სასტუმროს ადმინისტრაციას შევჩივლებ, მოსვენებას არ მაძლევენო. შემდეგ გადაიფიქრა, რადგან სიმღერა მოეწონა და ყური მიუგდო. მოგვიანებით გაიგო, რომ სმისლოვი მღეროდა. მაგრამ აი, რამ გააკვირვა „დილის სიმღერების“ მრავალგზის მოსმენის შემდეგ: სმისლოვი სულ ორ ნაწარმოებს ასრულებდა: ვინდექსის ეპიტალამას რუბინშტეინის ოპერა „ნერონიდან“ ან ალეკოს არიას რახმანინოვის ამავე სახელწოდების ოპერიდან. პილნიკი იმასაც მიხვდა, რომ, თუ სმისლოვი იგებდა, ეპიტალამას მღეროდა, ყაიმის შემთხვევაში კი — ალეკოს არიას (წაგებით მას არც ერთი პარტია არ წაუგია).

ერთხელ სმისლოვმა გადადო პარტია გოლომბეკთან. საუზმის დროს რესტორანში პილნიკი შეხვდა გოლომბეკს და ჰკითხა, როგორ არის საქმე გადადებულ პარტიაში. გოლომბეკმა მიუგო, რომ ყაიმს მიაღწევდა. „ვერ მიაღწევთ, დღეს დილით სმისლოვი ეპიტალამას მღეროდა“. პილნიკი სწორი აღმოჩნდა — სმისლოვმა მოიგო ეს პარტია.

ყველაზე უსიამოვნო მოსაგონარი?!

ამ კითხვაზე უპასუხებენ გამოჩენილი ჩოგბურთელები

ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია): შარშანდელი დამარცხება უიმბლდონის ნახევარფინალში.

ბორის ბეკერი (გერმანია): ერთ-ერთი ტელეინტერვიუს დროს ფსიქოლოგიის პროფესორს ისეთი შთაბეჭდილება დარჩენია, თითქოს, მე დოპინგს ვიღებდე. ეს ძალიან უსიამოვნო მოგონებაა.

ანდრე აგასი (აშშ): ახლაც ვერ ვივიწყებ დამარცხებას ამერიკის ღია პირველობის ფინალში. მეგონა, იმ შეჯიბრებაში აუცილებლად გავიმარჯვებდი.

პიტ სამპრასი (აშშ): ძალიან ბევრს მიაჩნია, თითქოს ჩემი გამარჯვება ამერიკის ღია ჩემპიონატში შემთხვევითი იყო. ასეთი ლაპარაკი დიდ უსიამოვნებას მანიჭებს.

მონიკა სელეში (იუგოსლავია): დღემდე მწარედ ვიგონებ წაგებას ამერიკის ღია ჩემპიონატის მეოთხედფინალში ლინდა ფერანდთან, არც ისე ძლიერ და ცნობილ ჩოგბურთელთან.

გაბრიელა საბატინი (არგენტინა): ავსტრალიის 1990 წლის პირველობაზე სერიოზული ტრავმა მივიღე და უკვე მესამე წრეში დავთმე შეხვედრა ზორვიკთან.

არანტა სანჩესი (ესპანეთი): მაგონდება „გრან-პრის“ ზოგიერთ შეჯიბრებაში ხელიდან გაშვებული შესაძლებლობები. მეტი იღბალი რომ მქონოდა!...

კალეიდოსკოპი

ჰონკონგი — ბრძოლა თამბაქოსთან

ჰონკონგის ადმინისტრაცია, როგორც შეუძლია, ებრძვის თამბაქოს მწეველებს. 1990 წლის 1 დეკემბრიდან აიკრძალა ტელევიზიით თამბაქოს ნაწარმის ყოველგვარი რეკლამა. ეს იმიტომ გაკეთდა, რომ მწეველთა რაოდენობა კატასტროფულად იზრდება, იმატა მათმა რიცხვმა ქალთა და მოზარდთა შორისაც.

როგორც ჩინური პრესა იუწყება, ჰონკონგში ჩატარებულმა სპეციალურმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ 6 მილიონი ჰონკონგელიდან 15 წელზე მეტი ასაკის 650 ათასი ადამიანი წევს თამბაქოს. ძალზე სახიფათოა ისიც, რომ 13 წელზე უმცროსი ბავშვების 20 პროცენტიც ეტანება თამბაქოს.

ჟურნალი გამოდის... ციხეში!

გერმანიის ქალაქ შტაუბინგში ადგილობრივ ციხეში მყოფმა პატიმრებმა არა მარტო საკუთარი საჭადრაკო კლუბი დააარსეს, არამედ... ჟურნალსაც გამოსცემენ. ამ ჟურნალს ჰქვია „კლაინერ შახპოსტ“ („პატარა საჭადრაკო მოამბე“). ციხის ფსიქოანალიტიკოსმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჟურნალს „ადგილობრივი სპეციფიკური კოლორიტი“ აქვს და მათ გამომცემლებს იმდენად ეფექტური იერიშები არ აინტერესებთ, რამდენადაც „ძნელი მდგომარეობიდან თავის დაღწევა“.

იმიტომ, რომ არ გიცნობთ!

ის-ის იყო ალიოხინი საჭადრაკო კაფეში შევიდა, რომ ერთმა გულშემატკივარმა სთხოვა პარტია ეთამაშათ.

— ვითამაშოთ, —მიუჯდა დაფას ალიოხინი — მაგრამ წინასწარ ეტლი უნდა მოგცეთ.

— როგორ თუ ეტლი?! თქვენ ხომ მე სრულიადაც არ მიცნობთ!

— დიახ, არ გიცნობთ. და სწორედ ამის გამო გაძლევთ კიდეც წინასწარ ეტლს, — მიუგო მსოფლიო ჩემპიონმა.

ხანდახან, ფულის გულისთვის...

როგორც ცნობილია, 1500 მეტრზე რბენაში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა სებასტიან კოემ (ინგლისი), მას შემდეგ, რაც პოლიტიკით დაინტერესდა, ფაქტობრივად, თავი დაანება სპორტს. ამის მიუხედავად, ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ ხანდახან მაინც მიიღებს მონაწილეობას შეჯიბრებებში, ისე, ფულის გულისათვის.

შვედთაგან მესამე

ამას წინათ ცნობილ ჩოგბურთელ სტეფანე ედბერგს ჰკითხეს, როდემდე აპირებს თამაშს?

— ცხოვრება მიედინება, ერთ შეჯიბრებას მეორე მოსდევს, გამარჯვებებს დამარცხებები ცვლიან. ერთ რამეზე არ მინდა ვიფიქრო: აი, სწორედ იმაზე, როდის დავანებებ თამაშს თავს. ეს, ეტყობა, მიადვილებს ცხოვრებას.

შვედები კვლავინდებურად ამაყობენ ედბერგით. 1973 წელს, როდესაც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ კომპიუტერული „რეიტინგ-ლისტის“ გამოქვეყნება დაიწყო, იგი, ძალიან ახალგაზრდა, მერვე ადგილზე აღმოჩნდა. პირველი შვედი, რომელიც ამ სიის სათავეში მოექცა ბიორნ ბორგი იყო (1979 წლის დეკემბრიდან 1983 წლის იანვრამდე), მეორე შვედი გახლდათ მატს ვილანდერი (1988 წლის სექტემბრიდან 1989 წლის იანვრამდე). სტეფან ედბერგმა შვედთაგან მესამემ მოიპოვა ეს დიდი პატივი, მეოთხე კი ჯერჯერობით არა ჩანს.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. გელაშვილი, კორექტორები: ქ. ქავთარაძე, ც. ჩიტიშვილი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
ხაზინი — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 99-97-27

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხების გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20.